შპს **Prodware Georgia** (შპს პროდვერ ჯორჯია)
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (ფასს - მსს-თვის)
ფინანსური ანგარიშგებები

31 დეკემბერი 2023 წელი.

25 სექტემბერი 2024
თბილისი, საქართველო

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული შენიშვნები

1 საერთო ინფორმაცია 5
2 მომზადების საფუძველი 5
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 6
4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობის და მსჯელობების მთავარი წყაროების შესახებ 9
5 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 10
6 ძირითადი საშუალებები 12
7 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 13
8 ფული და ფულის ექვივალენტები 13
9 საწესდებო კაპიტალი 13
10 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 14
11 შემოსავლები 14
12 სხვა ხარჯები 14
13 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები 14
14 ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები 15

შპს ***Prodware Georgia***
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	133,166	182,831	202,215
სულ გრძელვადიანი აქტივები		**133,166**	**182,831**	**202,215**
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	7	3,750,197	2,435,694	2,661,274
ფული და ფულის ეквივალენტები	8	73,784	174,881	74,043
სულ მიმდინარე აქტივები		**3,823,981**	**2,610,575**	**2,735,317**
სულ აქტივები		**3,957,147**	**2,793,406**	**2,937,532**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		3,646,294	2,523,744	2,794,005
სულ კაპიტალი		**3,646,394**	**2,523,844**	**2,794,105**
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	10	257,828	209,606	131,925
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		52,925	59,956	11,502
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**310,753**	**269,562**	**143,427**
სულ ვალდებულებები		**310,753**	**269,562**	**143,427**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**3,957,147**	**2,793,406**	**2,937,532**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

სტეფან ჰუბერტ მარკ ლოსეკუტი
დირექტორი

PRODWARE GEORGIA LLC
ფინანსური ჯერადობა
416309729

თეონა ყვავილაშვილი
ფინანსური მენეჯერი

5–15 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	11	**7,885,774**	**5,917,642**
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები		(5,889,228)	(4,694,125)
იჯარის ხარჯი		(237,922)	(259,137)
საქმიანი მივლინების ხარჯი		(46,009)	(80,512)
პროფესიული ხარჯები		(127,713)	(243,893)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	6	(84,778)	(83,009)
გასაყიდად განკუთვნილი ლიცენზიის ხარჯები		(205,625)	(171,688)
სხვა ხარჯები	12	(192,117)	(261,039)
სხვა მოგება / (ზარალი), წმინდა		20,168	(394,500)
საოპერაციო მოგება		**1,122,550**	**(270,261)**
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		**1,122,550**	**(270,261)**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**1,122,550**	**(270,261)**

5–15 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2023	2022

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1-ლ იანვარს	**100**	**2,794,005**	**2,794,105**
		(270,261)	(270,261)
წლის მოგება	-	(270,261)	(270,261)
სულ მთლიანი შემოსავალი	-		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**100**	**2,523,744**	**2,523,844**
ნაშთი 2023 წლის 1-ლ იანვარს	**100**	**2,523,744**	**2,523,844**
წლის მოგება (ზარალი)	-	1,122,550	1,122,550
სულ მთლიანი შემოსავალი	-	1,122,550	1,122,550
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**100**	**3,646,294**	**3,646,394**

5–15 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,122,550	(270,261)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	6	84,778	83,009
საკურსო სხვაობები		(22,096)	250,762
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების (ზრდა)/ შემცირება		(1,239,113)	4,987
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ზრდა /(შემცირება)		46,188	92,878
საგადასახადო დავალიანებების (შემცირება)/ზრდა		(7,031)	48,454
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		(14,724)	209,829
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები		(35,113)	(63,625)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(35,113)	(63,625)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(51,260)	(45,366)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		174,881	74,043
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	8	73,784	174,881

5–15 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს Prodware Georgia (შპს პროდვერ ჯორჯია) („კომპანია") დაფუძნდა 2014 წლის 10 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

შპს Prodware Georgia-ს ფლობს და საბოლოოდ აკონტროლებს სააქციო საზოგადოება Prodware France S.A., რომელიც მდებარეობს საფრანგეთში.

ძირითადი საქმიანობა.

შპს Prodware Georgia (შპს პროდვერ ჯორჯია) არის Prodware Group-ის ნაწილი.

შპს Prodware Georgia (შპს პროდვერ ჯორჯია) არის სამრეწველო და როლზე მორგებული გადაწყვეტების საერთაშორისო შემოქმედი და ინტეგრატორი. კომპანია არის Microsoft-ის პარტნიორი EMEA რეგიონში. შპს Prodware Georgia (შპს პროდვერ ჯორჯია) ფლობს ვირტუალური ზონის კომპანიის სერტიფიკატს. საინფორმაციო ტექნოლოგიების ზონების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვირტუალური ზონის სერტიფიკატი ენიჭებათ პირებს, რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების საქმიანობებს, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შესწავლა, მხარდაჭერა, დიზაინი, წარმოება, შემუშავება, განხორციელება და მართვა. ვირტუალური ზონის სტატუსის მქონე პირის საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობები არ ექვემდებარება დაბეგვრას, საქართველოს საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების მიწოდებით მიღებულ მოგებაზე გადასახადით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების მიწოდების დამატებული ღირებულების გადასახადით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ექსპორტის გადასახადის გადახდის გარეშე..

2023 წელს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით 85-ს შეადგენდა (2022 წელს: 77 თანამშრომელი).

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: საქართველო, ქალაქი რუსთავი, ვაჟა-ფშაველას I გას., N3, ბინა N3.

2 მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების (ფასს - მსს-თვის) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად. კომპანიამ მიიღო მცირე და საშუალო საწარმოების ფასს, ნაწილი 35 „მსს-ს ფასს-ზე გადასვლა". კომპანიის მსს-ს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. მსს ფასს გამოყენებული იქნა მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადებისას 2017 წლის 1 იანვარს და მომდევნო პერიოდებში მსს-ს პირველი ფასს ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.

მსს-ს ფასს-ის პირველი მიღება. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ზე გადსვლის თარიღამდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა მოემზადებინა და კომპანიამ არ მოამზადა ფინანსური ანგარიშგებები წარსულში. აქედან გამომდინარე წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის წარმოდგენილი შეჯერებები და განმარტებები მასზედ, თუ რა გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ ეფექტურობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე წინა ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურიდან მსს-ს ფასს-ზე გადასვლა. მსს-ს ფასს-ზე გადასვლამდე, კომპანია აწარმოებდა ჩანაწერებს აღნიშნული პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც კონკრეტულ ფარგლებში ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და არ გამოიყენა რეტროსპექტული გამოყენების მოთხოვნებიდან ოფციონური გამონაკლისები..

კომპანიამ არ გამოიყენა საერთო გამონაკლისები, საწარმოს მიერ მსს-ს ფასს-ით გათვალისწინებული ერთი ან მეტი კორექტირების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით 35.11.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ვალუტის გაცვლა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი ("ლარი", "GEL")..

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები ხორციელდება ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ასეთი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორიც ფინანსური მოგება ან ხარჯი.

2023 წლის 31 დეკემბერს, უცხოურ ვალუტაში გადაცვლისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი ("USD") = 2.6894 ლარი და 1 ევრო ("EUR") = 2.9753 ლარი, (31 დეკემბერი 2022 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.702 ლარი და 1 ევრო = 2.8844 ლარი)

ლარის სხვა ვალუტაში გადაცვლასთან დაკავშირებით არსებობს სავალუტო შეზღუდვები და კონტროლი. დღესდღეობით ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საანგარიშგებო ვალუტა. ყველა თანხა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანაბრებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებები იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცება იმისა, რომ აღნიშნული თანხები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თავდაპირველი ღირებულებით დაგროვებული ცვეთისა და გაუფასურბის ზარალის გამოკლებით. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ ადგილზე მიწოდებას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ძირითადი საშუალებების ობიექტის საბალანსო ღირებულებას ამატებს ასეთი ობიექტის ნაწილის შეცვლის ხარჯს, ასეთი ხარჯის წარმოქმნისას თუ შეცვლილი ნაწილი დამატებით სარგებელს მოუტანს კომპანიას მომავალში. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება არ არის აღიარებული. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი ირიცხება მოგება-ზარალში მათი წარმოქმნის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთა ირიცხება იმისათვის, რომ აქტივების ღირებულება, მათსავე ნარჩენ ღირებულებებზე გადანაწილდეს, მათი სავარაუდო საექსპლუატაციო ვადების განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობები: 40 წელი
- საიჯარო ქონების და შენობის კეთილმოწყობა/გაუმჯობესება: შემდეგი ვადებიდან უმოკლესი ვადა: 5 წელი და დანარჩენი პერიოდი საიჯარო კონტრაქტის დასრულებამდე.
- სატრანსპორტო საშუალებები: 4 წელი
- ავეჯი და საოფისე მოწყობილობა: 3-5 წელი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ აქტივის გასხვისებიდან, მინუს გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გასხვისებით მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის იმის დასადგენად არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშანი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშანი, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულადი სახსრების მაგენერირებული ერთეული, რომელზეც განაწილდა აქტივი) მოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ჩანაცვლების ღირებულებას. ჩანაცვლების ღირებულება აღემატება აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებული ერთეული) სამართლიან ღირებულებას მინუს რეალიზაციის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც წარმოდგენილია ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი სახსრები (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). გუდვილის გარდა არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები გადაიხედება გაუფასურების შესაძლო შებრუნებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წტფივი მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. იჯარები, რომელთა საკუთრების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს ინარჩუნებს მეიჯარე, კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარებად. საოპერაციო იჯარებით გადახდები (მეიჯარისგან მიღებული სტიმულების გამოკლებით) აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის პერიოდის განმავლობაში.

რეზერვები. სასამართლო სარჩელებთან დაკავშირებით რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არის იმის ალბათობა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო გახდება ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული რესურსების გადაცემა და შესაძლებელი იქნება ვალდებულების თანხის სარწმუნოდ შეფასება. რეზერვები გაანგარიშდება იმ თანხების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ვალდებულების დასაფარად დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დროთა განმავლობაში რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები .კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებიც ხელმძღვანელობის შეფასებით დიდი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ ეს პოზიციები სადავო გახდება საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახადებთან დაკავშირებით, მოგების გადასახადის გარდა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს..

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის აქციონერი. ცვლილებები კომპანიის კაპიტალში უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერი გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავალი. შემოსავალი წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობების პროცესში. შემოსავალია აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომელზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება კლიენტისთვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის უფლების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით ინკასირებული თანხების გამოკლებით.

შემოსავალი აღიარებულია დისკონტების, შემოსავლების და დამატებული ღირებულებების გადასახადების გარეშე.

შემოსავალი ლიცენზიების გაყიდვებიდან: გაყიდვების აღიარება ხდება საქონლის კონტროლის უფლების გადაცემისას, საქონლის კლიენტის მიწოდებისას, კლიენტს აქვს სრული უფლება საქონელზე და როდესაც არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელმაც შესაძლიოა გავლენა მოახდინის კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან: შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურებები იქნა გაწეული. შემოსავლების აღიარება ხდება ანგარიშგების პერიოდის დასრულებისთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მთლიანობაში გასაწევი მომსახურებების პროპროციულად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, ცვლილებებმა გავლენა მოახდინა კომპანიის მოგების გადასახადის აღიარების და შეფასების პრინციპებზე. დაგეგმილი ცვლილებები ასევე გავლენას ახდენს კომპანიის გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივებზე / ვალდებულებებზე. კომპანიები არ არიან ვალდებულნი გადაიხადონ მოგების გადასახადი თავიანთ მოგებაზე (რომელიც მიიღეს 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება დივიდენდის ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

დივიდენდის გადახდის შემთხვევაში 15% მოგების გადასახადი გადასახდელია დივიდენდის გადახდის მომენტისთვის, ფულადი თუ არაფულადი ფორმით, უცხოელი არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის და უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკური პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადებისგან. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა თანხებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლის / მოსმახურებების უფასო მიწოდებასთან და/ან ფულადი სახსრების გადარიცხვასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას, იმავე თვეში, როდესაც ისინი წარმოიქმნა. გარდა ამისა, ყველა გადახდილი ავანსი, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის კლიენტებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ექვემდებარება ანაზღაურებას დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესაბამისად, გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომელიც არ არის გადახდილი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე.

სახელფასო ხარჯები და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენები, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს საპენსიო ან სხვა ხარჯებს შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობის და მსჯელობები ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ მსჯელობების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე იყენებს სხვა მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს:

4. ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობის და მსჯელობები ძირითადი წყაროების შესახებ (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ ცვეთას, ფიზიკურ ცვეთას და იმ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილება განაპირობებს მომავალი ცვეთის ნორმების კორექტირებას.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება. დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ გაუარესდება მსხვილი კლიენტის კრედიტუნარიანობა ან ფაქტობრივი გადაუხდელობის ოდენობა აღემატება შეფასებებს, ფაქტობრივი დებიტორული დავალიანებები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებულ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, აღნიშნული მოიცავს დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის დებიტორული დავალიანებები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები უკავშირდება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის და ადასტურებს დებიტორთა უნარს დაფარონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად გადასახდელი ყველა თანხა. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც შეფასების მიხედვით არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, შეფასდება კოლექტიურად გაუფასურებაზე, მსგავსი ასაკის დებიტორული დავალიანებების კომპანიის მიერ თავდაპირველი ამოღების გამოცდილების საფუძველზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების რეზერვები შეიქმნა კონკრეტულ ასაკობრივ კატეგორიაში ამოღების დონეების თავდაპირველი გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების რეზერვის ღირებულება ითვალისწინებს გამოყენებულ კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებლებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შესაძლოა მომავალში გადაიხედოს დადებითი ან უარყოფითი კუთხით, მოლოდინების ან შედეგებიდან გამომდინარე თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების საფუძველზე.

5 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები წარმოდგენილია საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ–ერთ მხარეს შეუძლია აკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან გამოიყენოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ ურთიერთობის არსს.
დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი დავალიანებების ნაშთები მოცემულია ქვემოთ:

5. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	31-დეკ-23	31-დეკ-22
	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	3,453,069	2,084,205
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	52,313	26,454

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციის თანხები არის შემდეგი;

	2023	2022
	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	5,454,308	4,636,267
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		-
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	23,979	43,377

ძირითადი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება, მათი მომსახურებებისთვის სრული განაკვეთით ხელმძღვანელ თანამდებობებზე, შედის თანამშრომელთა სახელფასო ხარჯებში და შეადგენს 153,724 ლარს (2022 წელს: 113,720 ლარს).

6 ძირითადი საშუალებები

	ავეჯი	საოფისე მოწყობილობა	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	76,246	432,599	508,846
დარიცხული ცვეთა 2022 წლის 1 იანვარს	(52,698)	(253,933)	(306,631)
სულ საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**23,548**	**178,666**	**202,215**
დანამატები 2022 წელს	8,059	69,594	77,653
ცვეთის დანარიცხი 2022 წელს	(13,175)	(69,835)	(83,009)
ძირითადი საშუალების გასვლა 2022 წელს	-	(14,368)	(14,368)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა 2022 წელს	-	340	340
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**(5,116)**	**(14,269)**	**(19,385)**
სულ ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	84,305	487,825	572,130
სულ დარიცხული ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	(65,873)	(323,427)	(389,300)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**18,432**	**164,398**	**182,830**
დანამატები 2023 წელს	-	35,114	35,114
ცვეთის დანარიცხი 2023 წელს	-	-	-
ძირითადი საშუალების გასვლა 2023 წელს	-	-	-
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა 2023 წელს	(11,833)	(72,945)	(84,778)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**(11,833)**	**(37,831)**	**(49,664)**
სულ ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	84,305	522,939	607,244
სულ დარიცხული ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	(77,706)	(396,372)	(474,078)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**6,599**	**126,567**	**133,166**

7 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	3,665,237	2,324,641
სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 9)	100	100
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ფარგლებში	**3,665,337**	**2,324,741**
წინასწარი გადახდები	84,860	110,954
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**3,750,197**	**2,435,695**

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეამოწმა დაუფარავი დავალიანებების ნაშთი გაუფასურებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და თვლის, რომ საერთო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ნაშთები მთლიანად ექვემდებარება ამოღებას და აქედან გამომდინარე გაუფასურების დანარიცხი არ არსებობს.

8 ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ნაღდი ფული სალაროში	37	74
მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნაშთები	73,747	174,807
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**73,784**	**174,881**

9 საწესდებო კაპიტალი

2014 წლის 10 იანვრით დათარიღებული რეგისტრაციის დოკუმენტების შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ლარს, თუმცა ანგარიშგების თარიღისთვის მფლობელის მიერ შენატანი არ განხორციელებულა. კომპანიას არ აქვს გამოცხადებული დივიდენდები.

10 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	175,806	130,410
სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ფარგლებში	**175,806**	**130,410**
დარიცხული თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები	82,022	79,196
მიღებული ავანსები	0	0
სულ საავჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	**257,828**	**209,606**

11 შემოსავლები

შემოსავლები კატეგორიებად იყოფა შემდეგი სახით:

	2023	2022
შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან	7,610,256	5,668,754
შემოსავლები ლიცენზიის გაყიდვიდან	275,517	248,888
სულ	**7,885,773**	**5,917,642**

12 სხვა ხარჯები

	2023	2022
საოფისე მატერიალური უზრუნველყოფები	81,347	94,071
სადაზღვევო ხარჯი	5,635	3,189
მარკეტინგის ხარჯი	3,276	6,001
საგადასახადო ხარჯი	1,631	1,925
საბანკო ხარჯები	5,729	5,102
სხვა ხარჯები	94,499	150,751
სულ	**192,117**	**261,039**

13 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა.საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებითი ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, საწინააღმდეგოა და

ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები არის იმ სამთავრობო ორგანოების განხილვის და კვლევის საგანი, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავების და პროცენტების დაკისრების უფლება. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებსითვის სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ გარემოებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად. თუმცა საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები გამოიყენებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

სასამართლო საქმეები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, შესაძლოა კომპანიის წინააღმდეგ აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებების საფუძველზე თვლის, რომ სარჩელებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება ისეთი მატერიალური ზარალი, რომელიც აღემატება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებულ რეზერვებს.

ეკოლოგიური საკითხები. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია გარესმოდაცვით კანონმდებლობაში. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა იქნას აღიარებული. შეუძლებელია პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით.

14 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ არანაირი მნიშვნელოვანი შემთხვევა არ დამდგარა.

თარჯიმანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241294052
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.09.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის** [redacted]
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	48845613534224

მე, ნოტარიუს ნინო ხოფერი , რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 24/1, ვამოწმებ, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის 019/01/1785, გაც, 04/07/2019წ), მქონე მთარგმნელის მარიამ სლანიშვილის (დაბ.05.02.1997წ. მცხ. ქ. თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 14 ბ. 54, პირადი № 01011085598), ხელისმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

დოკუმენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად, ჩვიდმეტ გვერდზე.

სანოტარო საზღაური - 51.00 (ორმოცდათერთმეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე და 5 00 (ხუთი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 65.18 (სამოცდახუთი) ლარი და (თვრამეტი) თეთრი.

ნოტარიუსი ნინო ხოფერია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18